



ბრძანება

N 150
07/02/2019

შპს „აუდიტორული ფირმა ირმა“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2016 წლის 21 დეკემბრის N367 ბრძანებით შპს „აუდიტორული ფირმა ირმა“ (ს/ნ N402027463, იურიდიული მისამართი: დიდუბე-ჩუღურეთი / დიღმის მასივი I კვ. კორ. 1ბ, ბ. 85), დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-570954). 2017 წლის 12 დეკემბერს წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 742/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2017 წლის 04 დეკემბრიდან - 2018 წლის 03 დეკემბრამდე. 2019 წლის 10 იანვარს შპს „აუდიტორულ ფირმა ირმა“-ს ჩაბარდა წერილი N 16/1311, რომლითაც აუდიტორულ ფირმას განესაზღვრა 5 სამუშაო დღე პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. აუდიტორული ფირმის მიერ განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი (N 1129/19) წარმოდგენილია 2019 წლის 16 იანვარს, რომლის თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება 2019 წლის 16 იანვრიდან - 2020 წლის 15 იანვრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.“


მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონოდა პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „აუდიტორული ფირმა ირმა“-ს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2018 წლის 03 დეკემბრამდე, ხოლო განახლებული პოლისი გაცემულია 2019 წლის 16 ნოემბრიდან - 2020 წლის 15 ნოემბრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტორულ ფირმა ირმა“-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.
2. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

